ოქმი:**ო03.37221651**
თარიღი:**14/06/2022**

ოქმი № 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 13 ივნისი

ქ.ოზურგეთი

14.00-14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: რ. დუმბაძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, გ. მდინარაძე, გ. შარაშენიძე, ნ. ღაჟონია, მ. ვაშალომიძე , ე.გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან დასაგეგმი წლის საბიუჯეტო განაცხადების მერიაში წარდგენის გეგმა-გრაფიკისა და დასაგეგმის სამი საბიუჯეტო წლის პრიორიტეტების განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. გენდერული ბიუჯეტირების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

დღის წესრიგის პირველ საკითხზე, კომისიის წევრებს ჯერ მოკლედ ესაუბრა კომისიის თავმჯდომარე გ. ჩავლეშვილი, ხოლო ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს, მათ შორის კომისიის წევრ რ. დუმბაძეს-რომელიც დაინტერესდა-გათვალისწინებული იქნება თუ არა, ნარუჯა-ლაითურში შიდა გზების და სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, რაზეც უპასუხეს, რომ ჯერ-ჯერობით დაკონკრეტებული არაა განსახორციელებელი სამუშაოები. კომისიის წევრებმა მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენისათვის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო -

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული გენდერული ასპექტები, ისაუბრა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში მისი გათვალისწინების აუცილებლობაზე, კონკრეტულად ამ საკითხებზე კომისიის წევრებს მოახსენა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წვრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხები მიღებულ იქნას ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი